ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2016-64/ბ

ქ. თბილისი „20" „დეკემბერი" 2016 წ.

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ "სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო", შემდგომში „შემსყიდველი", სააგენტოს უფროსის გია თვალავაძის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „სეზანი" შემდგომში „მიმწოდებელი", ტარიელ შავერდაშვილი სახით.

2.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ "სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის" გამოყოფილი 2016 წლის ასიგნებების ფარგლებში, ბეჭდვითი მომსახურებების (CPV79800000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

3.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ღირებულება:

3.1. სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საიუბილეო წიგნების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა.

4.მომსახურების გაწევის პირობები

4.1 ვადები:

4.1.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ერთჯერადად შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი N1) სამ ეგზემპლარად.

6.ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი N1) (წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშფაქტურის საფუძველზე) გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელოს „შემსყიდველის" ხარისხიანი და გარანტირებული მომსახურება;

7.1.2 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან და ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.მხარეთა უფლებები

8.1 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1 მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

9.ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი„ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ.
10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის გაუქმება არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

11.სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ხუთი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაანგარიშებით.
13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.ინსპექტირების პირობები
ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი – სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“

პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის პროფესიული მზადების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ზაზა ბერიშვილი.

15.განსაკუთრებული პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (4 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.4 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", მეორე "შემსყიდველთან".

16. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო"	შპს „სეზანი"
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ №144,	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ № 140.
სახელმწიფო ხაზინა, ანგ.N200122900	ს/კ №203862551
	სს „ თი ბი სი ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22 ,
საიდენტიფიკაციო კოდი 205035120	ანგN GE41TB 0600 0001 0146 7640
გია თვალავაძე	ტარიელ შავერდაშვილი
სააგენტოს უფროსი	დირექტორი

დანართი N1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2016 წლის ასიგნების ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის
მიღება ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „_____“ „_____“ 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ **უფროსი გია თვალავაძე**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი:

_____

(ორგანიზაციის სახელი)

_____

(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

2016 წ „------“ „---------“ № „----------“ ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, გაწეულია მომსახურება.

(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

გაწეული მომსახურების ღირებულებამ

შეადგინა:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია:

ანაზღაურებულია:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო:
1. ხელმძღვანელი

მომსახურება ჩააბარა:
1. ხელმძღვანელი